პროლეტარიებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 1 (389) პარასკევი, 6 იანვარი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ლ. ასლანიშვილისა

## ახალი წელი

ახალი წელი გათენდა,
მზემ გაახილა თვალი.
მოვდივარ მახარობელი,
ყველამ გააღეთ კარი,
და გულით მომაქვს, რაც თქვენი
ნაოცნებარი არი.

მშრომელი ხალხის მარჯვენა
უქმად დადგება განა,
შარშან რა იყო, წელს ნახეთ,
როგორ გაგიყდეს ყანა,
გაკვირვებული იკითხოთ,
რა ხელმა მოიყვანა.

ნეტავი მაინც რა დასთვლის
იმდენ ვარდსა და ფერებს.
ქუთაისური მანქანა
გადაუქროლებს ველებს.
ამდენი ბედნიერებით
გულს რაღა დააბერებს.

მალე განთქმული ურალი
შეეჯიბრება რუსთავს,
ამოდუღდება ფოლადი
მარგალიტივით სუფთა.
მის გუგუნს შეუერთდება
სამგორის ბალის სუნთქვა.

ახალო წელო, უძირო
ოცნების ზღვაში სცურავ,
შენს გაშლილ იალქნებზედა
ვარდები ამოსულა.
მოდიხარ, ხალხთა მშვიდობის
შუქთა გვირგვინი გხურავს.

ვახტანგ გოგრგანელი

## ციფრები და ფაქტები აჭარიდან

**აჭარის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს 1949 წლის სპორტული სეზონი.**

**მშთ I საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების გეგმა შესრულებულია 103,5 პროცენტით, მშთ II საფეხურის ნიშნოსანთა—100,5 პროცენტით, იმშთ ნიშნოსანთა მომზადების გეგმაც გადაჭარბებითაა შესრულებული.**

* * *

**მომზადებულია პირველი თანრიგის 47, მეორე თანრიგის 193, მესამე თანრიგის 668 და მოზარდთა თანრიგის 395 სპორტსმენი.**

* * *

**მოეწყო ოთხი ახალი სასპორტო დარბაზი და 159 მარტივი ტიპის ფიზკულტურული მოედანი. ბათუმის ლ. ჰ. ბერიას სახელობის პიონერთა პარკში აშენდა ფიზკულტურული ქალაქი, კულტურისა და დასვენების პარკში — კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტი.**

* * *

**მძლეოსნობაში დამყარებულ იქნა აჭარის 63 რეკორდი. ტ. სამუშიამ 20 კილომეტრზე რბენაში გზატკეცილის პირობებში რესპუბლიკაში საუკეთესო შედეგი გვიჩვენა.**

* * *

**წყალჯომარდობაში დამყარებულია 8 ახალი რეკორდი. ბათუმის მოცურავეთა გუნდი საქართველოს ჩემპიონია.**

* * *

**დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ემზადებიან აჭარელი სპორტსმენები და ფიზკულტურელები 1950 წლის სპორტული სეზონისათვის.**

ჰ. სახლჩიძე
(ჩვენი საკ. კორ.)

## ახალ გამარჯვებათა წელი

**დ**ადგა 1950 წელი!

ჩვენი თვალწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში საბჭოთა ხალხი დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა ახალ წელს, რადგან მან იცის, რომ 1950 წელიც სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიაში შევა, როგორც ახალი გამარჯვებებისა და მიღწევების წელი.

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს 1949 წელი. ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გასულ წელს საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა. ჩვენი სამშობლო წლიდან წლამდე უფრო ძლევამოსილი ხდება!

ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებზე, სამეცნიერო ლაბორატორიებსა და სასწავლო დაწესებულებებში თავდადებული და ენერგიული შრომით ჩვენმა ხალხმა შესანიშნავი მაჩვენებლებით აღნიშნა გასული წელი.

საბჭოთა ხალხმა 1949 წლის დეკემბერში აღფრთოვანებით აღნიშნა მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადის მშობლიური სტალინის დაბადების 70 წლისთავი. დიდი სტალინის გენიასთან არის დაკავშირებული ყოველი ჩვენი გამარჯვება, ყოველი ახალი ნაბიჯი, გადადგმული კომუნიზმის ბრწყინვალე შენობისაკენ.

სსრ კავშირის მშრომელებთან ერთად 1949 წელს შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს საბჭოთა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა. განუხრელად ასრულებდნენ რა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის ისტორიულ დადგენილებას, საბჭოთა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა ბრწყინვალე მაჩვენებლებით ასახელეს დედასამშობლო. ფიზიკური კულტურა ჩვენს ქვეყანაში უფრო მასობრივი გახდა, გაიზარდა სპორტსმენთა ოსტატობა... 1949 წელს საბჭოთა სპორტსმენებმა 421 საკავშირო რეკორდი დაამყარეს, აქედან 32 მსოფლიოში საუკეთესო შედეგია. მსოფლიოს სასპორტო სარბიელზე დღითი დღე იზრდება ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელთა პრესტიჟი.

საქართველოს ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა ასევე წარმატებით დაამთავრეს 1949 წლის სეზონი. რესპუბლიკაში ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყეს ხელი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა ფეხბურთის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, კალათბურთის, ჩოგბურთისა და კლასიკური ჭიდაობის განვითარების საკითხებზე.

5.500-მდე ძირეული კოლექტივია საქართველოში ამჟამად. რესპუბლიკაში წარმატებით შესრულდა მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების წლიური დავალება. საგრძნობლად გაფართოვდა სპორტულ ნაგებობათა ქსელი, ახალი რეკორდები დაამყარეს მძლეოსნებმა, ველოსიპედისტებმა, მოცურავეებმა, ძალოსნებმა... საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ნ. დუმბაძე და გ. ხანუკაშვილი, ე. გოკიელი და ნ. ხნიკინა, ე. ქარქუსაშვილი და ა. ადაროვი, დ. ცომაკურიძე და ვ. სვეტილკო...

მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებს არ ჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება. 1950 წელი მათ ახალი უკეთესი მაჩვენებლებით უნდა აღნიშნონ. ამისათვის საჭიროა იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რომლებიც გვქონდა შარშან, შეუნელებელი ზრუნვა ოსტატობის ამაღლებაზე, ახალი მასების ჩაბმა მასობრივ-ფიზკულტურულ მოძრაობაში, ინტენსიური წვრთნა, გეგმიანი მეცადინეობა და ისევ წვრთნა.

ახალ წელს — ახალი მიღწევები! ასეთია დევიზი საბჭოთა ფიზკულტურელებისა. ისინი ამ პატრიოტულ მოვალეობას ბრწყინვალედ შეასრულებენ.

## ნიშნოსანთა მომზადების გეგმა შესრულებულია

საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა მშთ და იმშთ ნიშნოსანთა მომზადების 1949 წლის გეგმა სტალინური კონსტიტუციის დღის—5 დეკემბრისათვის შეასრულეს.

მშთ I საფეხურზე 50.000 კაცის ნაცვლად რესპუბლიკაში მომზადებული იყო 51.956 ნიშნოსანი, მშთ II საფეხურზე — 4.500-ის ნაცვლად 4.503 კაცი, ხოლო იმშთ ნიშანზე 40.000-ის ნაცვლად—40.688.

ნიშნოსანთა მომზადების გეგმის ვადამდე შესრულებას დიდად შეუწყო ხელი ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონული, საქალაქო და სოფლის კომიტეტების კარგმა მუშაობამ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციები (კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. ფაჩულია), რომლებმაც მშთ I საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების წლიური გეგმა შეასრულეს 106 პროცენტით, მშთ II საფეხურისა—104 პროცენტით და იმშთ ნიშნოსანთა მომზადების გეგმა—100 პროცენტით; ქ. ქუთაისის ფიზკულტურული ორგანიზაციები (კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ჩოგოვაძე) რომლებმაც მშთ I საფეხურზე 5 დეკემბრისათვის მომზადეს 3.009 ნიშნოსანი (გეგმა 2.266), მშთ II საფეხურზე—265 (გეგმა 262) და იმშთ—1313 ნიშნოსანი (გეგმა 1.215).

ნიშნოსანთა მომზადების 1949 წლის გეგმის შესრულების საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქ. ფოთის, ქუთაისის, მახარაძის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთმა რაიონმა ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონში (კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მადოიანი), სადაც მშთ I საფეხურის 80 და იმშთ 300 ნიშნოსანი უნდა მომზადებინათ, 5 დეკემბრისათვის მშთ I საფეხურის 40 და იმშთ 150 ნიშნოსანი მოამზადეს; წალენჯიხის რაიონში (კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დ. გერსამია) მშთ I საფეხურის 610 და მშთ II საფეხურის 3 ნიშნოსანი უნდა მომზადებულიყო. აქ მშთ I საფეხურზე მხოლოდ 430 ნიშნოსანი მოამზადეს, ხოლო მშთ II საფეხურზე ნორმები არც ერთ კაცს არ ჩაუბარებია.

ასევე ცუდად იმუშავეს ჩოხატაურის, ქვემო-სვანეთის, ქარელის, თბილისის რაიონების სპორტულმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა გაითვალისწინონ გასული წლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მათ გამოსასწორებლად და მშთ ნიშნოსანთა მომზადების 1950 წლის გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას მეტი ყურადღება მიაქცინ.

## ვ. ძებნიაურის მაღალი მაჩვენებლები

დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად 21 დეკემბერს თბილისის ველოსიპედიონზე ჩატარდა შეჯიბრება, რომელშიც განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა ნიჭიერმა ველოსიპედისტმა ვ. ძებნიაურმა.

მან ამ დღეს რესპუბლიკაში სამი საუკეთესო დრო აჩვენა: გიტში 25 კილომეტრზე ადგილიდან—41 წუთი და 54,0 წამი; გიტში ადგილიდან 50 კილომეტრზე—1 საათი და 24,0 წუთი და ერთსაათიან მარუსაში — 36 კილომეტრი და 88 მეტრი.

# ახალი მიღწევებით ვასახელოთ დედასამშობლო!

## ჩვენი გეგმები 1950 წელს

### გაცილებით მეჯი, ვიდრე შარშან

**ზ. ნატროშვილი,**
**თბილისის საორთქლმავლო დეპოს ფიზკულტურელი**

* * *

ჩვენი ახალგაზრდობა მაღალი მიღწევებით შეხვდა ახალ, ბედნიერ წელს არა მარტო საწარმოო დარგში, არამედ ფიზკულტურასა და სპორტშიც. 1949 წელი აღინიშნა თბილისის საორთქლმავლო დეპოს ფიზკულტურელების მიერ საქარხნო-საფაბრიკო სპარტაკიადაში (მეორე ჯგუფი) პირველობის მოპოვებით და ქართული ჭიდაობის სექციის საუკეთესო საქმიანობით.

ამ ერთი კვირის წინათ „ლოკომოტივის“ პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში ხაშურის, ნავთლუღის, ბორჯომისა და თბილისის კვანძებს შორის დედაქალაქის რკინიგზელებმა დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთსა და ჭადრაკში. 7 წონითი კატეგორიიდან ქართულ ჭიდაობაში 5 გამარჯვება დეპოელებს ხვდათ. პირად პირველობაში გაიმარჯვეს ზეინკალმა შ. თათარაშვილმა, ჩამოსხმელმა ა. ოთარაშვილმა, შეყალიბე ზ. ნატროშვილმა და ხარატმა ნ. დავითაშვილმა.

შარშან ჩვენთან შეიქმნა ფეხბურთელთა გუნდი. მემანქანის თანაშემწეები, ზეინკლები და ხარატები გატაცებით ეუფლებიან ფეხბურთის ოსტატობას, რათა მომდინარე წელს საქარხნო გათამაშებებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

სექციების საქმიანობის ამაღლებასთან ერთად დეპოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა გადასწყვიტა მოამზადოს ორჯერ მეტი ნიშნოსანი, ვიდრე ეს შარშანდელი გეგმით იყო გათვალისწინებული. გასულ წელს 25-ის ნაცვლად მომზადდა მშთ პირველი საფეხურის 47 და მეორე საფეხურის 9 ნიშნოსანი. ჩვენ ვალდებულება ავიღეთ წლიური გეგმა 6 თვეში გავანაღდოთ. მომდინარე წელს მშთ ნიშნოსანთა რიგებს მიემატება პირველი საფეხურის 50 და მეორე საფეხურის 13 ნიშნოსანი.

მიღწეულ წარმატებათა განმტკიცება, გაძლიერებული წვრთნა საქარხნო კოლექტივების მომავალ შეჯიბრებებში საპატიო ადგილის მოპოვებისათვის, — აი, საითკენ არის მიმართული ჩვენი ყურადღება ამჟამად.

### მთელი შეგნებითა და მონდომებით

**ა. ჟორდანია,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი, გუნდის უფროსი მწვრთნელი**

* * *

გასულ წელს თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია — მეორე ჯგუფის საკავშირო ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა.

ეს გამარჯვება კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს გუნდის თვითეულ წევრს. ფეხბურთის ტექნიკისა და ტაქტიკის, მთელი კოლექტივის სპორტული კლასის ამაღლებისათვის დიდი შრომის გაწევაა საჭირო.

10 იანვრიდან გუნდი საწვრთნელ მზადებას დაიწყებს სპორტდარბაზში, ვიმეცადინებთ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, კალათბურთში, ფრენბურთში და სხვა სახეებში, რომლებიც ძლიერ ეხმარება ფეხბურთელს სპორტული ფორმის შენარჩუნებაში. დიდი ადგილი დაეთმობა ბურთზე ინდივიდუალურ მუშაობას. თებერვლის შუა რიცხვებიდან ჩვენ საწვრთნელად მინდორში გავალთ.

მომავალში მეტად საპასუხისმგებლო მატჩები მოგველის. გუნდის თვითეული წევრი მთელი შეგნებით, კიდევ უფრო მეტი მონდომებით იმუშავებს სპორტული ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის. სხვათაშორის უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კოლექტივი ახალი მოთამაშეებით ივსება.

### მომავალი სერიოზული შეხვედრების წინ

**ბ. ხანუკაშვილი,**
**სსრ კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი.**

* * *

ახალი სპორტული მიღწევებითა და რეკორდებით აღინიშნეს საბჭოთა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა 1949 წელი. იგი ღირსშესანიშნავი იყო პირადად ჩემთვისაც: მეორედ მოვიპოვე სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება კრივში და მეორე ადგილი სტუდენტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ბუდაპეშტში.

მოპოვებული წარმატებებით არ დავკმაყოფილდები. ჩემი სპორტული ტექნიკის სრულყოფით კიდევ გავაუმჯობესებ პირად მიღწევებს, შევეცდები მომავალ შეხვედრებში საკავშირო პირველობაზე შევინარჩუნო საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის სახელი.

მომავალ სერიოზულ შეხვედრებში მონაწილეობისათვის სისტემატურად გავდივარ დაძაბულ საწვრთნელ მეცადინეობას. ამავე დროს ჩემს გამოცდილებას ვუზიარებ ახალგაზრდა მოკრივეებს შალიკაევს, დარბაისელს და სხვებს. ჩემი სურვილია მათი სახით საბჭოთა სპორტმა მიიღოს საუკეთესო მოკრივენი. ვისურვებდი აგრეთვე, რომ 1950 წელს კრივი ჩვენში გახდეს უფრო მასობრივი.

### ჩემი მიზანია — გავხდე სპორტის ოსტატი

**მ. ქოჩლაძე,**
**პირველთანრიგოსანი მძლეოსანი.**

* * *

1949 წელი ჩემთვის განსაკუთრებული მიღწევების წელი იყო. გასულ სეზონში დავამყარე რამდენიმე რეკორდი, მათ შორის ერთი საკავშირო 80 მეტრზე თარჯრბენში უფროსი ასაკის ქალიშვილებს შორის. ეს რთული მანძილი 11,8 წამში დავფარე.

გასული წელი ჩემთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ დავიწყე სწავლა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვმეცადინეობ რა დიდი მონდომებითა და ენერგიით, სისტემატურად ვიმაღლებ სპორტულ ოსტატობას ჩემი მწვრთნელის ბ. ტახტაროვის ხელმძღვანელობით.

მომდინარე წელს მონაწილეობას მივიღებ ბევრ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში, მათ შორის მძლეოსანთა საკავშირო პირველობაში. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამ საინტერესო შეხვედრებში შარშანდელზე გაცილებით უკეთესი შედეგები მოვიპოვო და განვახორციელო ჩემი სანუკვარი ოცნება—გავხდე სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

ბაკურიანში.

ფოტოეტიუდი

### ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

4 იანვარს გათამაშდა მე-7 და მე-8 ტურებში გადადებული პარტიები. კარფი (აშშ) პარტიის გაუგრძელებლად დანებდა რუბცოვას (სსრ კავშირი). ორი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა მოჭადრაკე ბელოვამ. მან დაამარცხა შოდე დე სილანი (საფრანგეთი) და გრესერი (აშშ). ორ გადადებულ პარტიაში 2 ქულა მოაგროვა აგრეთვე გრუშკოვა-ბელსკამ (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც მოუგო ლარსენს (დანია) და ლანგოშს (უნგრეთი). მორამ (კუბა) ძლიერად ჩაატარა პარტიის დაბოლოება და დაამარცხა გრესერი (აშშ). შოდე დე სილანმა მოუგო კელერს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). გერმანოვა (ჰოლონეთი) — ჰეემსკერკის (ჰოლანდია) პარტია ყაიმით დამთავრდა.

მე-8 ტურის შემდეგ წინ არის რუბცოვა, რომელსაც მოგროვილი აქვს 6 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ბელოვა, რუდენკო და შოდე დე სილანი. შემდეგ მიდიან ჰეემსკერკი (5 ქულა), ბიკოვა (4½ ქულა), ბენინი, გრესერი, გრუშკოვა-ბელსკა, კელერი და მორა (4-4 ქულა), ტრენმერი (3½ ქულა), ლანგოში (3 ქულა), კარფი (2½ ქულა), გერმანოვა (2 ქულა) და ლარსენი (1 ქულა).

### საქალაქო ჯურნირი

დამთავრდა ქალთა საჭადრაკო შეჯიბრება თბილისის პირველობაზე. დედაქალაქის 1950 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ვ. ზარგარიანმა („ბოლშევიკი“), რომელმაც 7,5 ქულა მოაგროვა 8 შესაძლებლიდან.

მეორე ადგილზე 7 ქულით გამოვიდა ჭ. გოგიავა, მესამე ადგილზეა ნ. ბერსკაია.

* * *

დაიწყო მოჭადრაკე მოსწავლეთა გუნდური შეჯიბრება თბილისის პირველობაზე.

### ფიზჭალბურის საკავშირო კომიტეტში

ფეხბურთის მსაჯთა თბილისის საქალაქო კოლეგიაში მრავალი წლის საზოგადოებრივი მუშაობისათვის ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა ნიშნით „ფიზიკური კულტურის წარჩინებული“ დააჯილდოვა ფიზკულტურის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსპექტორი ფეხბურთში ა. ვ. გონელი, ხსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის გუნდის მწვრთნელი ბ. ა. კარკოვი, ყრუ-მუნჯთა სკოლის გუნდის მწვრთნელი ს. კ. პანდელოვი, ქუთაისის „დინამოს“ გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. შ. რამიშვილი, საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზიკური მომზადების თეორიის სექტორის გამგე ლ. ვ. ჩხაიძე, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის უფროსი მწვრთნელი ნ. ი. ჩხატარაშვილი.

### მოცურავეთა რეკორდი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სპორტულ დღესასწაულში, რომელიც ჩატარდა მოსკოვის № 1 საცურაო აუზში, საბჭოთა კავშირის გამოჩენილმა მოცურავეებმა დამყარეს ახალი საკავშირო რეკორდი. სპორტის ოსტატებმა ა. დრაპეიმ (კიევი, „ბოლშევიკი“), ვ. გლადილინმა („ვოდნიკი“), სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ლ. მეშკოვმა („სტალინეცი“) და ვ. უშაკოვმა („ტორპედო“) 4×200 მ. ამანათცურვაში თავისუფალი სტილით უჩვენეს 9:04,6 და გასული წლის ივლისში დამყარებული გუნდური რეკორდი 0,9 წამით გაუმჯობესეს.

### მოკრივეთა შეხვედრები

მოსკოვში დიდი ინტერესი გამოიწვია უწყებათაშორისო საკავშირო პირველობის გათამაშებამ კრივში. დაძაბული და საინტერესო ბრძოლების შედეგად პირველი ადგილი მოიპოვეს პროფკავშირთა მოკრივეებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ დინამოელები, მესამეზე — შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლები.

### ფრენბურთის ბადესთან

შვიდ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სკოლების ფრენბურთელთა კოლექტივებს შორის.

კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ქალთა მე-8 საშუალო სკოლის ფრენბურთელი გოგონები. მათ ყველა მოწინააღმდეგე გუნდი დაამარცხეს და რაიონის ჩემპიონის სახელი დაიმსახურეს.

ცხარე ბრძოლები გაიმართა ვაჟთა სკოლების კოლექტივებს შორის. გაიმარჯვეს მე-9 საშუალო სკოლის ნორჩმა ფრენბურთელებმა.

**ნ. ფირცხალავა**

## მოსწავლეთა გაჯანსაღებისათვის

### რა უნდა გაკეთდეს არდადეგების დღეებში

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა საზამთრო არდადეგებიც. გულმოდგინედ შემუშავებულმა გეგმებმა უნდა უზრუნველყონ ყველა ადგილობრივ საშუალებათა რაციონალური გამოყენება მოსწავლეთა კულტურული დასვენებისათვის. აქ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა გაჯანსაღებას მათი მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში ჩაბმით.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საოლქო, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა ადგილობრივ კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სახალხო განათლების ორგანოებთან და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან ერთად უნდა უზრუნველყონ სასკოლო არდადეგების პერიოდში ფიზკულტურულ ღონისძიებათა მომზადება და მაღალხარისხოვნად ჩატარება.

არდადეგების დღეებში ფიზკულტურულ ღონისძიებათა საინტერესოდ მოსაწყობად მთავარია მოსწავლეთა დაკმაყოფილება სათანადო სპორტული ბაზებით. სკოლებთან და საბავშვო სახლებთან საზამთრო სპორტული მოედნების მომზადებისათვის დახმარების გასაწევად საჭიროა მუშაობაში ჩავაბათ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები და მასწავლებლები.

სკოლების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებმა, სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა შეადგინონ არდადეგებზე ფიზკულტურულ ღონისძიებათა კალენდრები.

არდადეგების პერიოდში მიზანშეწონილია ჩატარდეს მოსწავლეთა გასეირნება თხილამურებით, სათხილამურო შეჯიბრებები, შიდასასკოლო შეხვედრები ტანვარჯიშში, ფრენბურთსა და კალათბურთში, ტურნირები და სეანსები ჭადრაკსა და შაშში, მოეწყოს შეჯიბრებები იმშთ და მშთ ნიშანზე ნორმების ჩასაბარებლად, მოსწავლეთა მასობრივი სპორტული კარნავალები სტადიონებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, ჩატარდეს შეხვედრები ცნობილ სპორტის ოსტატებთან, ფიზკულტურული საღამოები, შეჯიბრებები სკოლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეში. უთოვლო რაიონების სკოლებმა უნდა მოაწყონ ტურისტული გადასვლები, ექსკურსიები მშობლიური მხარისა და ისტორიული ადგილების შესასწავლად და მრავალი სხვა.

ყველა მასობრივი ღონისძიებანი სასურველია ჩატარდეს სუფთა ჰაერზე მოსწავლეთა ასაკის, მათი ჯანმრთელობისა და ფიზიკური მომზადების გათვალისწინებით.

არდადეგების დროს მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში მოსწავლეთა ფართო ფენების ჩაბმით ჩვენ ხელს შევუწყობთ მათ გაჯანსაღებასა და გამოწრთობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისელ აკრობატთა გამარჯვება

**კიევი.** (ჩვენი სპეც. კორ.). საკავშირო შეჯიბრებამ ტანვარჯიშში კიეველთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ტურნირი განსაკუთრებით იმით იყო საინტერესო, რომ წელს ერთდროულად და ერთ შენობაში ტარდებოდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა შეხვედრები სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში და აკრობატიკაში.

დიდი წარმატება მოიპოვეს ქართველმა აკრობატებმა. ჯგუფურ ვარჯიშში ოთხეულთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება კვლავ თბილისელებმა მახაშვილმა, ქელესაშვილმა, გარსევანიშვილმა და ჩესნოკმა მოიპოვეს.

შერეულ წყვილთა შორის თბილისელები იაკუბა და მახაშვილი მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

მრავალრიცხოვანი მაყურებლის ყურადღების ცენტრში იყო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში. აქ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს უკრაინელმა სპორტსმენებმა ნ. ბოჩაროვამ და ვ. ჩუკარინმა. მათ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს კოლექტივი მოსკოვის, უკრაინისა და ლენინგრადის წარმომადგენელთა შემდეგ მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

მხატვრულ ტანვარჯიშში პირველ ადგილზეა ლენინგრადელი ლ. დენისოვა.

## პროფკავშირთა პირველობაზე

**ლენინგრადი.** (ჩვენი კორ.). აქ დამთავრდა გუნდური შეჯიბრება პროფკავშირთა პირველობაზე ჭადრაკსა და შაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სპორტული საზოგადოებების „ნაუკის“, „ბოლშევიკის“, „ზენიტის“, „ტრუდის“, „ლოკომოტივის“, „მედიკის“, „მოლნიას“, „სუდოსტროიტელის“, „სტროიტელისა“ და „ჟრილია სოვეტოვის“ უძლიერესი მოჭადრაკეები და მოშაშეები.

ცხარე ბრძოლების შემდეგ პროფკავშირთა პირველობა მოიპოვა „ნაუკამ“ გუნდმა ოსტატების როვნერის, ბანნიკის, ჟუხოვიცკის, ესტრინის, ოსტატობის კანდიდატების ბივშევის, სოლოვიოვის, პირველთანრიგოსნის ზვორიკინას და მოშაშეების — ოსტატების ციბიკის, კაპლანისა და ოსტატობის კანდიდატის სპანცირეტის შემადგენლობით. „ნაუკას“ გუნდმა ცხრა შეხვედრაში მოაგროვა 60 ქულა. გუნდს გადაეცა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი ჯილდო.

„ბოლშევიკის“ გუნდმა, მიუხედავად მეტად ძლიერი შემადგენლობისა (დიდოსტატი ბოლესლავსკი, ოსტატები ტაიმანოვი, მაკოგონოვი, პანოვი, სოკოლსკი, ჩეხოვერი, კოგანი, ბ. ბლინდერი და შვიდკი), დაიკავა მეორე ადგილი (59½ ქულა).

მესამე ადგილზე გამოვიდა „ზენიტის“ გუნდი, რომელმაც 49½ ქულა მოაგროვა.

### ქართული ფოლკლორის საუნჯიდან

## სოლაღა მოჯირითე

საქართველოს სამხრეთი ძველთაგანვე ბრძოლის ველად იყო ქცეული. ამ ნაწამებ მიწას ცის ნამზე მეტი ადამიანის სისხლი ახსოვს. აქ ქართველ მხედრობას არაერთხელ სასტიკად დუმარცხებია და უკან გაუბრუნებია თურქთა ურდოები. ამ მხარეს მრავალი ვაჟკაცი გაუზრდია, რომელთაც ბევრჯერ დუმარცხებიათ თურქეთის გამოჩენილი ფალავნები.

ქართულ ფოლკლორში უხვად მოიპოვება ლექსები, რომლებშიც ქართველი ვაჟკაცების გმირობაა ასახული. ხალხური მოლექსეები ხოტბას ასხამდნენ ქართველი ხალხის საყვარელ ფალავნებს. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „სოლაღა“. მასში აღწერილია ქართველი მოჯირითის სოლაღას (გვარი უცნობია) ვაჟკაცობა და ჯირითის სროლის საუკეთესო ცოდნა.

სოლაღა ყოფილა ახალციხიდან, რომელიც თურქების მიერ ამ ადგილის მიტაცების შემდეგ იქ ჩარჩენილა. იგი ერთხელ რაღაც თხოვნით ხონთქრის კარზე მისულა. თხოვნის ასრულების მაგიერ იქ მისთვის წინადადება მიუციათ:

„სოლაღავ, მეტად გაქებენ
ჯირითის ხმარებაზედა,
ერთი არაბი ჩვენცა გვყავს
განთქმული ქვეყანაზედა,
შენ თუ იმას ეჯირითო, თუღრეს
დაგადგმენ თავზედა“.

თავმდაბალ სოლაღას უარი უთქვამს, მაგრამ ძალის დატანების შემდეგ იგი იძულებული გამხდარა ჯირითში გასულიყო. ქარიშხალივით მოჰქროდა არაბი, რომელიც „ტურფად იბრუნებს ჯირითსა ის გაშვებულ მკლავზედა“. უცხო ხალხში მყოფ სოლაღას მოლებმა სიკვდილი უწინასწარმეტყველეს:

„ამოწოწინდეს მოლები,
სოლაღას მოჰკლავს წამზედა!“

თურქების ფალავანს პირველად უსვრია ჯირითი...

„გაიქცა ჩვენი სოლაღა, გაეკრა
აბეანდაზედა,
ორი ესროლა არაბმა, ერთი არ
იკრა ტანზედა,
მესამე რომ დაუზილა, მოურტყა
ტახტარაზედა,
გადაიწია სოლაღა, დადგა ცალ
აბეანდაზედა,
გადაეხვია, აკოცა ცხენსა
მარჯვენა თვალშია:
შენი ჭირიმე ლურჯა-ჯაი,
გადამარჩინე წამშია!“

და როცა ჯერი სოლაღაზე მიდგა...

„გაიქცა ფიცხლავ არაბი, გაეკრა
აბეანდაზედა,
დაჰკივლა და შემოსტყორცნა,
დაარჭო ბეჭის ფრთაზედა,
არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი
გარბოდა წყალზედა“.

სოლაღა დასაჯილდოებლად წაიყვანეს ხონთქართან, მაგრამ ქართველ ფალავანს ფეხები უკან რჩებოდა, რადგან იცოდა, რომ დესპოტი ხონთქარი სამაგიეროს მიუზღავდა.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ სირცხვილნაჭამი თურქები შეპარულან სოლაღას ცოლისძმის ოჯახში და იქ მოუკლავთ მძინარე სოლაღა, სახელგანთქმული ქართველი მოჯირითე.

სოლაღას იმდენად ჰქონდა სახელი განთქმული, რომ მასზე ლექსებს მღეროდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში — ხევსურეთში, კახეთში, აჭარაში, ქართლში, თბილისში, მცხეთაში და სხვაგან. როდესაც სოლაღაზე კახეთში ამბობდა ლექსს ერთ-ერთი მთქმელი, იქვე მყოფ იმერლებს უთქვამთ: ამას ჩვენშიც მღერიანო. ვინმე მესტვირე ხოგაძე თურმე ასეთი სიტყვებით იწყებდა სოლაღას გლოვას:

„ლმერთი აროდეს წაახდენს
ალალ კაცს მართალ გზისასა,
ამას ვინ მოიფიქრებდა
სიკვდილსა სოლაღისასა“.

ამ ლექსებით ხალხმა უკვდავჰყო ქართველი მოჯირითის სახელი, რომელიც ვერაგ და ულმობელ დამპყრობელების უღელქვეშაც თავისი სამშობლოს ღირსებას იცავდა.

**ა. ციბაძე,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიის კათედრის ასპირანტი.**



**ახალგაზრდა ნიჭიერი ველოსიპედისტი ვ. ქინქლაძე (თბილისი).**
ფოტო კ. კრიმსკისა

## სოსო იოსრამაშვილი



# ბოკლადეკ

ამ ამბავს მაშინ ვინ დაბეჭდავდა და ისე კი დიდხანს იყო ჩვენი ახლომახლო სოფლების სალაპარაკოდ.

სპორტსმენი იმ მხარეზე თვალითაც არავის ენახა. ბრეთელი თუ დირბელი, რუსელი თუ არადელი ბიჭები ერთიმეორის ჯიმარდობას და მარიფათს დღეობებში თუ ნახავდნენ, თორემ სად იყო ასეთი ფიზკულტურული სპარტაკიადები? დღეობებშიც, უმთავრესად, ახალგაზრდობის თავის გამოსაჩენი სპორტი — ჭიდაობა იყო და ათასში ერთხელ ცხენების დოღს თუ მოაწყობდნენ.

ერთ ასეთ დღეობას მოჭიდავეების ავან-ჩავანი ბებერი გიო, მეტსახელად „მოუნელებელ ლუკმას“ რომ ეძახდნენ, დილა ადრიანად მოსულიყო, საჭიდაო ჩოხები მოეტანა და მოედნის მოწყობის თადარიგს შესდგომოდა: მის მიერ ნაჩვენებ ადგილებზე ახალგაზრდებს მარგილები უკვე დაერჭოთ და გარშემო გრძელ საბელებს ავლებდნენ ხალხის შესაოკებლად.

იქ მყოფ მოჭიდავე ბიჭებს ზურნის ხმა ერუანტელივით უვლიდათ ტანში. მახლობელი სოფლებიდან კიდევ ემატებოდა ხალხი და მოუთმენლად ელოდნენ ჭიდაობის დაწყებას.

აგერ იმ სოფლის ნაბატონარი ავალიშვილი და მისი სტუმრებიც გამოჩდნენ. ზოგი მათგანი ჩერქეზულად იყო ჩაცმული. მანამდე თავისუფალი ერიამული ჩურჩულით შეიცვალა და ყველამ მორიდებით იმ ამპარტავან ჯგუფს დაუწყო მზერა.

ერთი ქალაქურად ჩაცმული, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი, ორ ქალთან ხელკავგაყრილი, გამოეყო იმ გორიოზ ჯგუფს და შემკრთალ გლეხებში შემოერია. თან იკითხა:

—ჭიდაობას ჩქარა დაიწყებთ თუ არაო!

ქალაქურად ჩაცმული კაცის ჭიდაობისადმი ინტერესი ყველას გაუკვირდა. ერთმა ახალგაზრდამ თითქოს თავი შეურცხყოფილად იგრძნო, რომ ეს ვიღაც გაპრანჭული ქალაქელი ჩვენს სასეიროდ მოსულაო, და მკვახედ უპასუხა:

— ჭიდაობა თუ დავიწყეთ ბიჭო, ერთბაშად შენ არ იჭიდაო!

—სხვას თუ ვერა, შენ მაინც დაგეჭიდები! ბევრი-ბევრი წამაქციო, მაგრამ თუ წაგაქცე, მაშინ რას იტყვი?—მიუგო ბატონიანთ სტუმარმა მხიარულად.

—მაგას კი არა, თუ ჭიდაობ ყველას უნდა დაეჭიდო!—წამოიძახა ვიღაცამ.

— არც შენ დაგწყვეტ გულს და ვისაცა სურს, ყველას დავეჭიდებიო, — მტკიცედ უპასუხა უცნობმა და თავის მასპინძლებს გადახედა, რომლებიც უკვე გვერდში ამოსდგომოდნენ და რაღაც ცბიერად უღიმოდნენ ერთი-მეორეს. ამ ამბავმა მოხუც გიოს ყურამდეც მიაღწია და მის გარშემო მოგროვილ ლეგა-ბიჭებში ერთი ალიაქოთი ატყდა.

წარმოიდგინეთ ქართლელი ბიჭების გაკვირვება! ვიღაც „ცილინდრიანი“ მათ საჭიდაოდ იწვევდა. თითქოს ბაზარზე ძვირფას საქონელს იაფად შეხვედრიანო, ერთი-მეორეს ეცილებოდნენ: „არა მე დავეჭიდები და არა მეო“.

მოხუც გიოს კინაღამ ჩოხა შემოახიეს თავისკენ წევით და ხვეწნით. მან, როგორც იქნა, დააწყნარა აფორიაქებული ბიჭები და მერე შესძახა სულწასულებს:

— კარგი თქვე ობრებო! ნუკი გადაირევით ხოლმე. მერე რა მოხდა, რომ ჯეჭელმა ბიჭმა ჭიდაობა მოინდომოს. ნასომი იქნება, ეშხზე მოვიდოდა, იჭიდავებს და თავის გულის ჭიას მოიკლავს. რა ვაჟკაცობაში უნდა ჩამოგერთვათ, ვიღაცა მთვრალი სტუტენტი რო წააქციოთ?

გიომ თვითონ ამოარჩია მათში საშუალო ძალღონის მოჭიდავე და ბურჯანა ბიჭს დაადო ხელი.

—აი, ჯერ ე ბიჭი დავეჭიდოთ და დანარჩენი მერე ვნახოთ რა იქნებაო. ამხანაგები ბურჯანა ბიჭს წინდაწინვე ულოცავდნენ გამარჯვებას და ბიჭებში ხელს უტყაპუნებდნენ:

—დახე, ბიჭო, რა ლუკმა შეგხვდაო... ამ დროს ხალხის ხარხარმა იქაურობა შეაზანზარა. სოფლის გოგოები აწითლებულნი. თავჩაღუნულნი, ხითხითით სცილდებოდნენ იმ ადგილს, სადაც იმ ქალაქელს ზედა ტანისამოსი გაეხადა და ახლა შარვალს იხდიდა. აი ის უკვე მოკლე შარვლით გადმოვიდა წრეში. იგი ახლა სულ სხვა იყო. მთელს მოძრაობასთან შეფარდებით, მის ტანზე მოსხლტეთ დახტოდნენ მუშტისოდენა კუნთები.

მოხუცმა გიომ შემოაკრა ბურჯანა ბიჭს სარტყელი და თან უკანასკნელი დარიგება მისცა: „აბა, ჭიდაობის წესი ხომ იცი! თუ მოერიო, აბუჩად არ დაიჭირო და არ გაამასხრო, თორემ მისი გამასხრება არც შენთვის იქნება დიდი სახელი და ამას შეიძლება შარიც მოჰყვეს. ხომ იცი ვისი სტუმარია? მაგის მასპინძლები სანთლით ეძებენ საშარო საქმეს და ერიდე საბაბი არაფერი მისცე“.

ზურნამ საჭიდაო დაუკრა. ბურჯანა ბიჭმა გიოს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მოხდენილად გაითამაშა წრეში. მერე ფხვიერი მიწით ოფლიანი ხელი შეიმშრალა და გაიხედა იმ მხარეს, საიდანაც განიერი და სწრაფი, რიტმული ნაბიჯით უკვე წამოვიდა მოწინააღმდეგე; ის შუაგულ წრეში შეჩერდა, ხელები მაღლა ასწია და თითქოს ანიშნა—მზად ვარო.

ბურჯანა ბიჭმა ხელი მოჰკიდა თუ არა, მაშინვე ამართულმა გაუკეთა სარმა, მაგრამ თვალი ვერ მოვასწარით, ისე უცებ წელჩაზნექილი დავარდა

ხახატი ი. ქოქიაშვილისა

გვერდით. ხალხმა იგრიალა. მოწინააღმდეგემ გაათავისუფლა, ასწია მაღლა ხელები და ორბივით დაადგა თავს.

წაქცეული ბურჯანა ბიჭი გაჭარხლებული წამოვარდა, ეცა და ბეჭზე მოიკიდა, მაგრამ თითქოს წელში გადაამტვრიესო, იგი მოწინააღმდეგემ ისე გადაგრიხა, მხრებიდან მუხლის თავზე და დაადგა ისევ თავს.

შეშინებულმა ბურჯანა ბიჭმა მერე კი რიდება დაუწყო და გან-გან უვლიდა, მაგრამ კიდევ წასძლია თავისმა ხერხმა და კიდევ გაუკეთა სარმა. მაშინ კი დავინახეთ, თუ როგორ აბათილებდა სარმას ავალიანთ სტუმარი: მოწინააღმდეგის სასარმოდ წამოღებულ ფეხს მარჯვენა ფეხი გამოუსვა უკანიდან, მარჯვენა ხელი წელზე დააჭირა და მარცხენა ხელით საყელოდან გადასწია, გადაკეცა მოწინააღმდეგე და დასცა მხრებით.

მის ყოველ მოძრაობაზე ხალხი გრგვინავდა და უკვირდა ქალაქელის ჭიდაობა. ბებერი გიოც გაკვირვებული უყურებდა და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ბურჯანა ბიჭი უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ შეცდომის გასწორება გვიანღა იყო.

ქალაქელის ვინაობის გაგება მანამდე აზრადაც არავის მოსვლია. მაშინ კი დაინტერესდნენ და გაიგეს კიდეც: იგი აღმოჩნდა საუკეთესო მოკარჯიში და განთქმული მოჭიდავე თედო ხერხეულიძე. ახირებული ხასიათის კაცი ყოფილა: „ქალაქში ჩოხით დადის და სოფელში როცა წამოვა, ევროპულად გამოეწყობა ხოლმეო“ — ამბობდნენ მისი ნაცნობები.

ადრე რომ სცოდნოდა ჭაღარა გიოს, მისი გახანებული თეთრი საყელოს დახახვაზე აღარ მოტყუვდებოდა, მაგრამ ახლა კი დარცხვენილი იძახდა: „ეი, დასწყევლოს ეშმაკმა, ი გალუსტიკი რამ გააკეთებინა მაგ ლომივით ბიჭსა; მე ვიღაცა ჩანჩურა მეგონაო“. ხერხეულიძემ საზაფხულო პალტო წამოისხა რომ არ გაციებულიყო და მოჭიდავეების პაპას—გიოს შემოუთვალა:

— წეღან რომ ყმაწვილები მეყოყოჩებოდნენ, ახლა ისინი გამომიყვანეო.

გიო ახლა ეგრე ადვილად აღარ მოტყუვდებოდა და ჭალია ბიჭი ინატრა, რომელიც ალაკამეთს იყო წასული სამუშაოდ.

— მეზურნე გოლა მაინც მონახეთ ბიჭებო! იქნებ კიდევ იჭადაოს და ამ სარცხვილისაგან გვიხსნას, თორემ, თუ მაგის ზურგი დღეს მიწაზე არ დაეცა, თავი სადღა უნდა გამოვყოო, — ემუდარებოდა ბიჭებს გიო.

ის იყო საინტერესო, რომ მეზურნე გოლას თვითონ ეყურებინა ამ სუროთისათვის და როგორც კი გაიგონა ჩემი სახელი ახსენესო—ფერგადაკრული მიიჭრა შემდეგი სიტყვებით:

— გიო, იქნებ მეც წამაქციოს, მაგრამ შენ თუ მეტყვი, რო შემჭამოს კიდეც, მაინც დავეჭიდები.

— მე რა უნდა გითხრა? შენს ძველ ჯავარზე რომ იყო, ჭალია ბიჭს აღარ ვინატრებდი, მაგრამ თუ კიდევ გული გერჩის და მუხლიც მოგდევს, არა მგონია, რომ შენმა „შხამიანმა სარმამ“ კიდევ სირცხვილისგან არ გვიხსნას. სხვისი კი არავის იმედი არა მაქვს; ვერც შენ დაგატან ძალას, თუ გული არ მიგიწევს. ძალიან მაგარი ვინმე ჩანს ე ქალაქელი ბიჭიო.

მეზურნე გოლა თავის დროზე მართლაც გამოჩენილი და დუმარცხებელი მოჭიდავე იყო, მაგრამ ორმოც წელს უკვე გადაცილებული იყო და მოგეხსენებათ დროს თავისი მიაქვს.

გოლამ მაინც დაიწყო ტანისამოსის გახდა და მთელი ხალხი შეინძრა. წესრიგის დამცველები ძლივსღა იკავებდნენ მოზღვავებულ მაყურებელს. ალაგ-ალაგ მარგილებიც წააქციეს. ისმოდა ძახილი:

— აბა განზე დადექით! მაგარი ჭიდაობა იმართება, მეზურნე გოლა და ხერხეულიძე იჭიდავებენო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ გვწერენ

## საჭიროა საჭადრაკო კლუბი

ჭიათურაში ფართო პოპულარობით სარგებლობს ჭადრაკი, მაგრამ აქ მის განვითარებას საგრძნობლად უშლის ხელს საჭადრაკო კლუბის უქონლობა. ჭადრაკის მოყვარულთ არა აქვთ საშუალება მოისმინონ ლექციები ჭადრაკის თეორიიდან, გაარჩიონ პარტიები და სხვ.

ფიზკულტურისა და სპორტის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს.

**გ. ძინძიბაძე**

ჭიათურა.

* * *

## მეჯი უურადღება ჩოგბურთს

ჩოგბურთი სპორტის საინტერესო სახეა, მაგრამ მას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სათანადო უურადღებას არ აქცევენ. ქალაქ სტალინირში არ არსებობს ჩოგბურთის სექცია, არავინ ფიქრობს კორტების მოწყობასა და საჭირო ინვენტარის შეძენაზე.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტის მუშაკებმა დაინტერესება უნდა გამოიჩინონ ჩოგბურთის მიმართ.

**ნ. ზადიშვილი**

სტალინირი.

* * *

## როდის შეკეთებენ?

ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშნის საკოლმეურნეო ცირკი დიდი ხანია არ შეკეთებულა. სახურავის გამოცვლის მიზნით კოლმეურნეობამ თუნუქი შეიძინა, მაგრამ შენობის მხოლოდ ერთი ნაწილი დახურა და საქმე ამით დაამთავრა.

ზამთრის პერიოდში ადგილობრივ ფიზკულტურელებს არა აქვთ სამეცადინო ადგილი. საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებული იქნეს ზომები ცირკის შენობის შესაკეთებლად.

**ვ. უურშიტაშვილი**

ახმეტა.

---

ახალი წელი გვეწვია,
სურვილებიც გვაქვს ახალი,
ქართლის ველებზე ფართო და
იალბუზზედაც მაღალი.

ახალი წელი მოვიდა...
ძვირფასო წელო ახალო,
გვინდა საბჭოთა სპორტსმენთა
გამარჯვებები გვახარო.

...ოცნებობს ხანუკაშვილი,
რომ მოიპოვოს მან ისევ
სახიერადულო წოდება
„პირველი ხელთათმანისა“.

...დუმბაძე ფიქრობს, ბადროც ხომ
თვითონ მზესავით მრგვალია;
მოიქნია და გასტყორცნა,
სადაც უინვა და ქარია...
მიფრინავს ბადრო ბზრიალით,
მიფრინავს, მიუხარია.

...მოუქანცავი ვარჯიშით
მრავალ დღეთა და ღამეთა
ხნიკინამ თავის მიღწევით
სულ ყველას გადაამეტა.

...გოკიელსა და ქოჩლაძეს
კვლავ ამას დავუბედებდით —
როცა მიჰქრიან ლივლივით
და ფრენენ, როგორც მტრედები,
გვჯერა კვლავ თქვენი მიღწევით
გული და თვალი იხარებს —
ირემს შეშურდეს ნახტომი
და ქარს კი თქვენი სიჩქარე.

... ვერ დამეწევა ვერარა
მე მოტოციკლით მომავალს,
ვერ დამბრკოლოს მდინარემ,
გზა ვიწრომ, ვერცა კლდოვანმა,
ოღონდ ამ ბორბალს წუნი აქვს,
ამას ვწუხვარო, გუნიამ.

...ადე, ძმობილო, ნუ გძინავს,
ბურთთა გაისმის ხმანიო,
ჰე, ნუთუ გამოფხიზლების
აღარ დაგიდგა ხანიო.
მახარაძეო, მოისმის
ადე, შაისხი, ფრთანიო...
ვცდილობთ და ვერ გაგაღვიძეთ,
თუმც გასხით კოკით წყალიო,
მარღანიას და ზაზროშვილს
გვდის ცხელი ოფლის ღვარიო.

...ქარქუსაშვილმა ესა სქვა:
მოწმეა ჩემი ბეჭები,
არასდროს არ დავლონდები
არასდროს არ დავეჭვდები, —
ვერ წამაციოს, ვფიცავარ,
კაცმა ვერარა გვარმაო,
სანამ არსებობს ამ ქვეყნად
მოგვერდები და სარმაო.

...ისე გავლესავ მახვილსა
ვერავინ ვერ დამედაროს,
ვერავინ ვერ დამედავოს, —
ასე უთქვია ადაროვს.

...კვლავ თბილისიდან ჭენებით,
კაცს რომ ჯერ არა სმენია,
ზუგდიდს მივაგდო ცხენები,
არ ვიყო დარასელია.
ამას ქადილით არ ვამბობ,
არც უზრდელობით არ ვბედავ,
ვერ დამეწევა „მოსკვიჩი“
ველარც გამისწრებს „პობედა“.

...ახსოვს თბილისის სტადიონს,
ახსოვს მოსკოვის სტადიონს...
და როცა ალელვებულნი
მივუჯდებოდით რადიოს,
ჩვენ გვწამდა, კვლავ მოვიგებდით,
გვჯეროდა, გავიმარჯვებთო,
რადგან ისმოდა — ბრწყინვალედ
თამაშობს პაიჭაძეო...
ისმოდა, აბა, დაარტყა,
აუ, გოლია, გოლია,
ვაქებდით ბურთის დიდოსტატს,
ჩვენი ფეხბურთის გოლიათს...
ახლა კი თავის ბავშვებთან
წვრთნასა და ვარჯიშს უნდება,
გვწამს პაიჭაძის თამაში
სტადიონს დაუბრუნდება.
აუ, რა კოსტად მიჰქროდა,
აუ, რა ალშურს აჩენდა...
კვლავაც ისმოდეს ფეხბურთში
დიდება პაიჭაძეთა.

...თქვენ იცით,
ბურთის ჩოგანი
ლომის ჩოგანი როდია,
სპორტს უნდა ვარჯიშობანი,
ასე ყოფილა ოდითგან.
ლამაზიც იყოს, ძლიერიც,
ეს ოსტატობის ჩვენება...
გვესმოდეს თქვენი სახელიც,
ქართველო ჩოგბურთელებო.

...ქორქიას თახი უპყრია,
ჯორჯიკიას კი კალათა,
ქორქიას თახი ჩაუკრავს,
ველარ გამოჰგლეჯთ ძალათა,
დგანან და გეიმდებათ
მათი ძალის და კუნთისა,
სიმაკეენი საბჭოთა
ქართული კალათბურთისა.

...ვამარჯვების სიხარულით
მე არასდროს დავთვრებიო,
გასახელებთ, მასახელებს
ჩემი ლაღი მართვებიო...
ასე ამბობს ყორდანია.
აქეთ-იქით ბავშვებივით
პირაეკი, პაიჭაძე
დგანან ხელებგაშვერილი.
და ამბობენ: გამოჩნდება
კვლავაც ჩვენი გმირობაო,
არ შეგარცხვენთ, ეს იქნება
საახალწლო პირობაო.

...ვეფხურ ნახტომით ფინიშთან
მიჭრა
გამძლეობა და ძალა ულევი...
რომ თბილისელმა ქართველმა ბიჭმა
უკან დასტოვო კარაკულოვი.
წინ ელვასავით მიჰქროდეს კაცი
და ჩვენ ეს გვეთქვას სანაძლეოზე,
ისე სწრაფია და ისე მკვირცხლი
ეს უეჭველად სანაძეაო.

...მივალ, ნახვამდის, მშვიდობით,
შეუჩერებლივ მივქრიავარ,
ვერ ვაცდევინებ თვითმფრინავს,
დღეს ვეეეესის ფიქრი ვარ.
დღეს გაიოზი გზაში ვარ,
ახლა, ჰაერში ვფრინავო...
სულ წარმატებას ვუსურვებ
ჩემს ძველ მშობლიურ „დინამოს“...

...სურათში კიდევ მონახავთ
თქვენ მრავალ ნაცნობ სახეებს;
ქვეყანა ეცნობს, აფასებს
მათ საამაყო სახელებს.
ვინც ასახელებს სამშობლოს
მარჯვენით დაუღალავთ,
მილოცავ, ჩვენი მილოცავ,
ჩვენი მხურვალე სალამი!

ტექსტი ნოდარ გურეშიძისა.
ნახატი გ. ფირცხალავასი.

---

# უცხოეთში

ტირანაში შედგა ალბანეთისა და რუმინეთის ფეხბურთელთა ნაკრებთა გუნდების მატჩი. მეტად დაძაბულად: საინტერესო თამაში დამთავრდა რუმინეთის ფეხბურთელთა გამარჯვებით—4 : 1. ამ გუნდების შეხვედრა ბუქარესტში კი დამთავრდა ფრედ —1 : 1.

* * *

პრაღაში „სპარტას“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ნაკრები ნაციონალური გუნდები. ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა ჩეხოსლოვაკელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:0.

* * *

ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა კლასიკურ შედაობაში, რომელიც ამას წინათ პრაღაში ჩატარდა, დამთავრდა ფრედ — 4 : 4.

* * *

ბულგარეთის უძლიერესმა სწრაფმსრბოლმა გიორგი ხრისტოვმა დამყარა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი 5 კილომეტრზე სიარულში. მან ეს მანძილი 22 წუთსა და 42,5 წამში დაფარა.

* * *

უნგრეთის ჩემპიონმა იეჟენსკიმ 3.000 მეტრი დაბრკოლებათა გადალახვით გაირბინა ბრწყინვალე დროში— 9 წუთსა და 11,2 წამში, რაც უნგრეთის ახალ რეკორდს წარმოადგენს.

* * *

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა მძიმე წონაში ზანგმა მოკრივე ჯო ლუისმა, რომელმაც შარშან დაუმარცხებლად მიატოვა რინგი, ამას წინათ ბოსტონში ჩაატარა საჩვენებელი შეხვედრა ამერიკელ სკორასთან, რომელსაც 2 მეტრის სიმაღლე აქვს. ლუისმა ადვილად მოიგო მატჩი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**მ. კაკაბაძე**

გაზეთი გამოდის პარასკევობით.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 15.000

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.

УЭ 01014